

შპს „შნო“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები გამოსატულია ლარში

	მეწ.	2021	2020
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	3	241,525	99,979
სავაჭრო მოთხოვნები	4	38,949	32,328
მარაგები	5	427,878	399,735
საგადასახადო აქტივი			4,050
სხვა არამატერიალური აქტივები		1,907	1,907
ძირითადი საშუალებები	6	1,039,039	1,019,878
სულ აქტივები		1,749,298	1,557,877
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	7	184,697	128,093
საგადასახადო ვალდებულება		39,196	
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	8	70,000	
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულება	8	70,450	
სულ ვალდებულებები		364,343	128,093
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,600	2,600
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		665,739	776,577
გადაფასების რეზერვი		606,663	540,654
სხვა რეზერვები		109,953	109,953
სულ საკუთარი კაპიტალი		1,384,955	1,429,784
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,749,298	1,557,877

დირექტორი
გივი ნიორაძე



29 სექტემბერი, 2022 წ.
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 4-11 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „მნო“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

თანხები გამოხატულია ლარში

	შენიშვნა	2021 წელი
ნეტო ამონაგები	10	877,663
საქონლის გაყიდვიდან		869,325
მომსახურების გაწვიდან		5,796
სხვა საოპერაციო შემოსავლები		2,542
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(226,601)
საერთომოგება		651,062
სხვა შემოსავალი (საშემოსავლო გადასახადზე დაწესებული შეღავათი COVID 19-დან გამომდ)		
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)		
დასაქმებულთა ანაზღაურება (-)	11	(498,145)
საპენსიო ხარჯი		(6960)
ცვეთა და ამორტიზაცია (-)	6	(69,262)
იჯარა		(30,525)
კომუნალური ხარჯები (-)		(14,920)
საპროცენტო შემოსავალი		
საპროცენტო ხარჯი (-)		(10,032)
საგადასახადო ხარჯი (-)		(10,741)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი (-)	12	(41,439)
სულ საოპერაციო ხარჯები		(682,024)
საოპერაციო მოგება		(-30,962)
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები (-)		-
მარაგები (-)		-
სხვა არაფინანსური აქტივები (-)		-
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		(-30,962)
მოგების გადასახადი (-)		-
მოგება/(ზარალი)		(-30,962)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი		-
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირესა წარმოების უძრავი ქონებისგა და ფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)		-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ		-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		(-30,962)
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		1,429,784
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალისგაზრდა', კოოპერატივი სშემთხვევაში 'საპაიოკაპიტალისგაზრდა')		-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		(13,867)
სხვა ცვლილებები გადაფასების რეზერვში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		1,384,955

დირექტორი
გივი ნიორაძე
29 სექტემბერი, 2022 წ.
თბილისი, საქართველო



შენიშვნები გვერდებზე 4-11 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.
შპს „შნო“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის პერიოდისთვის
თანხები გამოსატულია ლარში
პირდაპირი მეთოდი

შენ. 2021 წელი

ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან

მიღებული ფულადი სახსრები 1,084,529
თანამშრომლებზე და მიმწოდებლებზე გაცემული თანხები (994,867)

წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან 89,662

ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან

კაპიტალის ზრდა/შემცირება (+/-) -
ძირითადი საშუალებების გაყიდვა/შეძენა (+/-) (88,546)
არამატერიალური აქტივების გაყიდვა/შეძენა (+/-) -

წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან (88,546)

ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან

სასესხო ვალდებულებების მიღება (+) 157,000
სასესხო ვალდებულებების დაფარვა (-) (16,550)

წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან 140,450

საკურსო სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე (20)

ფულადი სახსრების წმინდა ცვლილება 141,546

ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისში 99,979

ფულადი სახსრების ნაშთი წლის ბოლოს 241,525

დირექტორი
გივი ნიორაძე



29 სექტემბერი, 2022 წ.
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 4-11 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.
ახსა-განმარტებითი შენიშვნები
შპს „შნო“

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „შპს შნო“, საიდენტიფიკაციო ნომერი 211325671 დარეგისტრირებულია საქართველოში, კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი ბუდაპეშტის ქუჩა N1

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ავეჯის წარმოება. საზოგადოების დამფუძნებელი არის: გივი ნიორაძე, პ/ნ 01024004318 – 100% წილის მფლობელი; 2021 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით საწესდებო კაპიტალი შეადგენს - 2600 ლარს.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებას შვილობილი კომპანიები, რეგისტრირებული ფილიალები ან/და წარმომადგენლობები არ გააჩნია.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკ 2021	31 დეკ 2020
1 USD/GEL	3.0976	3.2766
1 EUR/GEL	3.5040	4.0233

2. საადრიცხო პოლიტიკა

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით (მსს ფასს).

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში და ყველა ღირებულება დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარად არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანაგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება შემცირებადი ნაშთის მეთოდით რაც გულისხმობს აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გემგური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

	%
შენობა-ნაგებობები	5
მანქანა-დანადგარები	20
ოფისის აღჭურვილობა	20
“”სატრანსპორტო საშუალებები	20
მზის ენერგიის ელექტროსადგური	5

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხდება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თავდაპირველი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაცია აღიარდება მოგება - ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საფუძველზე არამატერიალური აქტივის მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, თუკი ასეთი ვადა არ არის განუსაზღვრელი. არამატერიალური აქტივებისთვის, განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით, გამოიყენება გაუფასურების ტესტი ყოველწლიურად. სხვა არამატერიალური აქტივებს ცვეთა ერიცხება ექსპლუატაციაში შესვლის დღიდან გამოყენების ბოლო თარიღამდე.

ამორტიზაციის ხანგრძლივობა და მეთოდები გადაიხდება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (ეს არის ბანკში გადასახდელი ფულის დისკონტირებული ღირებულება რომელიც შეიცავს გარიგების ხარჯს). სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარდება ფინანსურ ხარჯად.

სესხები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად, იქამდე სანამ, საწარმოს არ გააჩნია ვალდებულებების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება საანგარიშო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ტრანზაქციის ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

იჯარა

იმის განსაზღვრა თუ ხელშეკრულება არის (ან მოიცავს) იჯარას დაფუძნებულია შეთანხმების შინაარსზე. ხელშეკრულება არის, ან მოიცავს იჯარას თუ შეთანხმების შესრულება დაფუძნებულია სპეციფიკური აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებაზე, იმ შემთხვევაშიც კი როდესაც ეს აქტივები არ არის ამკარად განსაზღვრული ხელშეკრულების საფუძველზე. კომპანია, როგორც მოიჯარე საოპერაციო იჯარა განსხვავდება ფინანსურისაგან. საოპერაციო იჯარის გადახდები აღირიცხება შესაბამისი პერიოდის საოპერაციო ხარჯებად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

შემოსავალი

შემოსავალი მოიცავს გაყიდვებსა და მომსახურებებს გარე მომხმარებლისთვის (დღგ-სა და სხვა გადასახადების გამოკლებით). მომხმარებლისგან მიღებული შემოსავალი აღიარდება შემოსავლად მხოლოდ მაშინ, როცა ჯგუფი შეასრულებს პირობით განსაზღვრულ სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა.

იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსურ ანგარიშებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და სუფთა საერალიზაციო ფასს შორის უმცირესით.

მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება გასაყიდ ფასსა და დამთავრებისა და გაყიდვის მოსალოდნელი ხარჯების სხვაობით.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარი გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

ღივიღენდები

ღივიღენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი ღივიღენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

ფული და ფულის ეკვივალენტები	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
ნადდი ფული ეროვნულ ვალუტაში	19,542	9,873
ნადდი ფული უცხოურ ვალუტაში	-	-
მიმდინარე ანგარიშები ეროვნულ ვალუტაში	221,657	89,760
მიმდინარე ანგარიშები უცხოურ ვალუტაში	326	346
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	241,525	99,979

4. სავაჭრო მოთხოვნები და გადახდილი ავანსები

სავაჭრო მოთხოვნები და გადახდილი ავანსები	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	38,949	32,328
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	-	-
სულ სავაჭრო მოთხოვნები და გადახდილი ავანსები	38,949	32,328

5. მარაგები

მარაგები	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
ნედლეული და მასალები	168,819	149,263
ნახევარფაბრიკატები	95,834	109,061
დაუმთავრებელი წარმოება	78,699	60,539
მზა პროდუქცია	60,813	53,737
ექსპონატები	9,607	9,607
მცირეფასიანი მარაგები	10,741	13,438
სათადარიგო ნაწილები	1,815	2,491
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	1,550	1,599
სულ მარაგები	427,878	399,735

6. ძირითადი საშუალებები

მიწა	შენობა ნაგებობები	მანქანა დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	სულ
------	----------------------	------------------------	-----------------------------	-----------------------	-----

დირებულება						
ბალანსი 31 დეკ 20	58,710	783,091	281,942	75,589	32,519	1,231,851
დამატება	-		1,878	86,546	-	88,424
აფასება						
შემცირება	-	(142,477)		(45,700)	(23,797)	(211,974)
ბალანსი 31 დეკ 21	58,710	640,614	283,820	116,435	8,722	1,108,301
დაგროვილი ცვეთა						
ბალანსი 31 დეკ 20	0	0	0	0	0	0
ცვეთა	-	12,812	40,472	13,101	2,877	69,262
ჩამოწერა	-	-		-		
ბალანსი 31 დეკ 21	0					
ბალანსი 31 დეკ 20	58,710	640,614	281,942	29,889	8,722	1,019,878
ბალანსი 31 დეკ 21	58,710	627,802	243,348	103,334	5,845	1,039,039

7. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
მოწ. და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	10,612	5,162
მიღებული ავანსები	174,086	122,931
საპენსიო გადასახადი	2,083	
საგადასახადო ვალდებულება	37,112	
სასესხო ვალდებულება	140,450	
სულ სავაჭრო ვალდებულებები	364,343	128,093

8. სასესხო ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებები 2021 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს არის: საკრედიტო ხაზიდან ათვისებული 70000 ლარი, და 2021წლის აგვისტოში აღებული სესხი 87000 ლარის ოდენობით, საიდანაც 2021 წელს დაიფარა ძირი თანხა 16550, და 2021 წლის 31 დეკემბრისთვის სასესხო ვალდებულებამ შეადგინა 70,450 ლარი

9. საკუთარი კაპიტალი

კომპანიას საწესდებო კაპიტალი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 2 600 ლარს. 2021 წელს კომპანიას კაპიტალში ცვლილება არ განუხორციელებია. სხვა რეზერვების თანხა შეადგენს 109,953 ლარს, გადაფასების რეზერვის ნამეტი თანხის გადატანა გაუნაწილებელ მოგება/ზარალის ანგარიშზე, რეალიზაციის კვალდაკვალ, მოცემულმა თანხამ 2021 წელს შეადგინა 31,930 ლარი. საკუთარი კაპიტალის საბოლოო ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს შეადგენს 1,384,955 ლარს.

10. შემოსავალი რეალიზაციიდან

შემოსავალი რეალიზაციიდან	2021
შემოსავალი იურიდიული პირებისგან	342,825
შემოსავალი ფიზიკური პირებისგან	198,738

რეალიზაციები გაყიდვებიდან	326,743
რეალიზაციები მომსახურებიდან	5,796
სხვა საოპერაციო შემოსავლები	2,542
რეალიზაცია მასალის გაყიდვიდან	1,019
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	877,663

11. დასაქმებულთა ანაზღაურება

დასაქმებულთა ანაზღაურება	2020
მენეჯმენტის ანაზღაურება	180,795
დანარჩენი პერსონალის ანაზღაურება	317,350
სულ დასაქმებულთა ანაზღაურება	498,145

12. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	2020
მცირეფასიანი ნედლეულის ჩამოწერა	13,847
მომსახურების ხარჯი	4,491
საწვავის ხარჯი	6,420
კომუნიკაციის ხარჯი	3,402
რემონტის დანახარჯები	3,141
რეკლამის ხარჯები	1,950
ინვენტარიზაციის შედეგად ჩამოწერილი ძირითადი საშუალებები	
ფინანსური ხარჯი	7,103
საკანცელარიო ხარჯი	621
სხვა ხარჯი	464
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	41,439

13. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „მნიშვნელოვანი დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტორლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

შემდგომი ოპერაციები განხორციელდა დაკავშირებულ მხარეებთან:

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	ხელფასის ხარჯი	შემოსავალი	სულ
საერთო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერი			
მფლობელი	-	-	-
მპს „იბერონ“	-	11,820	11,820

სულ	11,820	11,820
-----	--------	--------

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	გადასახდელი ხელფასი	დებიტორული დავალიანება	სულ
საერთო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერი			
მფლობელი	-	-	-
შპს „იბერონ“	-	3,750	3,750
სულ	-	3,750	3,750

14. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშები მომზადდა განგრძობითი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები.

მენეჯმენტს მიაჩნია რომ კომპანია გააგრძელებს თავის საქმიანობას მომავალშიც.

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 29 სექტემბერს

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომელიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას.